პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ნოემბერი შაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 280 (14276)

## პრემიები გამარჯვებულთ

**ხუთნაწილი — ვადამდე!**

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა თავდადებით იშრომეს მესამე კვარტალში და ღირსეულად გაანაღდეს სოციალისტური ვალდებულებანი. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია სახალხო მოხმარების ბევრი მაღალხარისხოვანი საქონელი.

მესამე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით სამინისტროს საწარმოთა ჯგუფი რიგი კოლექტივები გამარჯვებული გამოვიდნენ სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოებულია თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკისა და თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივები.

ქუთაისის საწარმოთა — აბრეშუმის და ძაკვ-ფეხსაცმლის კომბინატების, № 8 სამკერვალო ფაბრიკის და ბათუმის № 3 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა მოიპოვეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მეორე ფულადი პრემიები დაიმსახურეს თბილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისის“, შულავრის ქუჩის ფაბრიკისა და თბილისის ტყავ-გალანტერიის ფაბრიკის კოლექტივებმა.

მესამე ფულადი პრემიები მიიღეს სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატისა და თბილისის ხელოვნური ბოჰკოს ფაბრიკის კოლექტივებმა. (საქდესი).

# მთავარია ადამიანი, მასზე ზრუნვა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

**საბჭოთა მხატვრების მრავალეროვანი კოლექტივის წარმომადგენელნი, რომლებიც შეიკრიბნენ თავიანთ მესამე სრულიად საკავშირო ყრილობაზე, მხურვალე სალამსა და მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს.**

ჩვენ მხურვალე მადლობას გიძღვნით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის, ლენინის ორდენისათვის, რომელიც მიენიჭა სსრ კავშირის მხატვართა კავშირს.

ჩვენ გულითად მადლობას ვუძღვნით სკკპ ცენტრალურ კომიტეტს კომუნისტურ მშენებლობაში ხელოვნების, მხატვრის შრომის როლის შთამაგონებელი შეფასებისათვის, პარტიის ზრუნვისა და ნდობისათვის, რაც გამოხატულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ჩვენი ყრილობისადმი.

დიადი და ღირშესანიშნავია მიღწევები საბჭოთა მხატვრული კულტურისა, რომელიც შთაგონებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მაღალი იდეებით.

საბჭოთა სახელმწიფოს ორმოცდაათი წლის იუბილეს დღესასწაულის დღეებში, თვალი რომ გადავავლეთ ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილ ძნელ და სასახელო გზას, ჩვენ ერთხელ კიდევ განსაკუთრებით მკაფიოდ ვიგრძნეთ და შევიგნეთ, რაოდენ დიდმნიშვნელოვანია სრულფასოვანი შემოქმედებისათვის, რომ მხატვარი მტკიცე რწმენით ემსახურებოდეს რევოლუციურ ბრძოლას, იცავდეს კომუნისტური პარტიის პოლიტიკისადმი ერთგულებას, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს ხალხის მასებთან, ღრმად იცნობდეს ცხოვრებას.

ჩვენი ხელოვნების თოლმა ისტორიამ დაადასტურა, რაოდენ ცხოველუნარიანი და მართალია მხატვრული შემოქმედების პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპები. ისინი მუდამ შეადგენდნენ კომუნისტური პარტიის მხატვრული პოლიტიკის საფუძველს და ეხმარებიან მხატვრებს შექმნან ნაწარმოებნი, რომლებითაც ამაყობენ ჩვენი ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა.

მსოფლიოში მიმდინარეობს შეურიგებელი, კლასობრივი ბრძოლა. იმპერიალიზმი ცდილობს ყოველი საშუალებით შეაჩეროს სოციალიზმის ძლევამოსილი სვლა. ჩვენ, ისევე როგორც მთელი ჩვენი ხალხი, ვიწონებთ ყველა ღონისძიებას, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ განახორციელა სოციალისტური ბანაკის ერთიანობის განმტკიცებისათვის, სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის დადებული მოსკოვის ხელშეკრულების განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივლისის პლენუმებმა მოგვცეს საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზი, მიზნად დაგვისახეს კიდევ უფრო აქტიური მუშაობა, გაბედული, შეუდრეკელი ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ.

პირობას ვაძლევთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწენი დაუცხრომლად ვიბრძოლებთ კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა მხატვრებს თავის მოვალეობად მიაჩნიათ მთელ ხალხთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ეს უსაზღვრო შემოქმედებით პერსპექტივებს სახავს მხატვართა წინაშე.

სოციალისტური რეალიზმი, რომლის პრინციპებს ჩვენ მიეგებვენ, — ეს არის გამოხატულება ჩვენი საერთო იდეურ-შემოქმედებითი პოზიციისა. ეს არის საფუძველი სრულფასოვანი მხატვრული შემოქმედებისა. სოციალისტური რეალიზმი უფართოეს შესაძლებლობებს გვაძლევს ტალანტების, ხელოვნების მრავალი სახეობის, ჟანრის, სტილის, ცოცხალი, ნოვატორული ძიების ყველაზე ნაყოფიერად განვითარებისათვის. იგი შეუძლებელია, თუ არ არის მრავალფეროვანი სახეობა, ჟანრი, სტილი, თუ არ არის ცოცხალი ნოვატორული ძიება.

საბჭოთა მხატვრები უარყოფენ ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ცდებს ჩირქი მოსცხონ და დაამცირონ ჩვენი მოწინავე სოციალისტური კულტურა, ჩვენ ვაცხადებთ: საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატები ვამაყობთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოთი, საბჭოთა ადამიანის შრომითი საგმირო საქმეებით, შევსახართ ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის კულტურის აყვავებას.

ჩვენ ვიცით, რაოდენ რთულია მხატვრული პროცესი, რა შემოქმედებითის სიძნელეებს განიცდის ჭეშმარიტი ნოვატორი, რომელიც ეძიებს თანამედროვე თემის მკაფიო. გამომეტყველ განსახიერებას. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით ნოვატორობად მივიჩნიოთ ფორმალისტური „ძიებანი“, რა მყვარალა სახელწოდებითაც და რეკლამითაც უნდა გვთავაზობდნენ მათ. ჩვენ გვახსოვს მხატვრის უმაღლესი მოვალეობა — თავისი შემოქმედებით ემსახურებოდეს ხალხს. ეს რეალიზმის კლასიკოსთა ერთ-ერთი დიადი ტრადიციაა. იყოს ხალხის იდეალების გამომხატველი, აკმაყოფილებდეს საბჭოთა ხალხის სულ უფრო მზარდ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს — ეს თვითეული საბჭოთა ხელოვანის მაღალი მოვალეობაა, ჩვენს შემოქმედებითს მუშაობაში ადგილი არ უნდა იყოს ფორმალისტური და ნატურალისტური ნაწარმოებებისათვის, რომლებიც ამახინჯებენ ცხოვრების სიმართლეს, მის იდეურ აზრს, პროფესიულად სუსტი ნაწარმოებებისათვის.

ჩვენ, საბჭოთა სახვითი ხელოვნების მოღვაწენი, სხვადასხვა თაობის, ყველა ეროვნების, სხვადასხვა შემოქმედებითი მანერის წარმომადგენელნი, ერთსულოვნად, ღრმად და გულწრფელად ეისწრაფვიან ჩვენი შემოქმედებითი შრომით ერთგულად ვემსახუროთ ხალხსა და ლენინურ პარტიას. დარწმუნებული ვართ, რომ თვითეული ხელოვანისათვის არა არის რა უფრო მაღალი და საპატიო, ვიდრე ის, რომ მართლად წარმოსახოს ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ნაწარმოებებში, რომლებიც უმღერიან კომუნიზმის დიადი იდეალების განმტკიცებას! საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეთათვის არა არის რა უფრო მაღალი და საპატიო, ვიდრე ის, რომ მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან აშუქებდეს მსოფლიო მხატვრული განვითარების პროცესებს, გაანალიზებდეს საბჭოთა ხელოვნების მდიდარ გამოცდილებას, გულმოდგინედ და მეზნებარედ უწევდეს პროპაგანდას მის მიღწევებს, იცავდეს სოციალისტური რეალიზმის პრინციპების სიწმინდეს.

ჩვენს წინაშეა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დიდი, განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა, ყველა მოძმე რესპუბლიკის ოსტატებმა უკვე გააჩაღეს მუშაობა მომავალი საიუბილეო გამოფენების მზადებისათვის. საბჭოთა მხატვრები ცდილობენ შექმნან ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ღრმად გააშუქებენ ლენინიზმის სიდიადესა და გამარჯვებას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობას, ილიჩის ენციკლოპედიური პიროვნების მრავალმხრივობასა და მომხიბვლელობას. ლენინური იდეები მთავაგონებდა და მუდამ შთაგონებას საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეებს მეზნებარე პარტიულობისა და მაღალი ოსტატობის ნაწარმოებთა შექმნისათვის.

საბჭოთა მხატვრების მესამე ყრილობა სიტყვას აძლევს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს: საბჭოთა მხატვრები მთელ თავიანთ ნიჭს, მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ იმას, რომ შეასრულონ კომუნისტური კულტურის მშენებლობის ისტორიული ამოცანები, რომ შთაგონებული ნაწარმოებებით უპასუხონ პარტიისა და ხალხის ზრუნვას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორსა და შთამაგონებელს!

**სსრ კავშირის მხატვართა მესამე ყრილობა**

## უნიკალური ტელესკოპი

**სტავროპოლის მხარე.** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მშენებლობაზე მიღებული მსოფლიოში ყველაზე დიდი ტელესკოპის პირველი დეტალები. ამ ტელესკოპის სარკის დიამეტრი იქნეს მეტრს ოდრის (ამერიკის შეერთებული შტატების მაუნტ-პალომარის ამჟამად მსოფლიოში უდიდესი სარკის დიამეტრი ხუთი მეტრია). ეს გიგანტი ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკურმა გაერთიანებამ აკა.

პირველი დეტალები ლენინგრადიდან სპეციალურად მოწყობილი კარჩაპით მიჰქონდათ დონის როსტოვამდე. იქ უნიკალური ტვირთი მიიღო მოსკოვის მე-9 ავტომაზის ავტომატარებელმა. „კრაზ-258“ და „მაზ-537“ იქნესი მაწევარი 40-ტონიანი მისაბმელებით გავიდა ნავსადგურიდან კავკასიონის მთებში. ამ უჩვეულო კოლონას თან ახლდა მოტოციკლისტთა ესკორტი და მანქანა, რომელზეც რაცია იდგა. გზა თავისუფალი უნდა ყოფილიყო, ზოგიერთი დეტალის დიამეტრი ხომ შვიდი მეტრია.

ტელესკოპი დაიდგმება მთებში ზღვის დონიდან 2.070 მეტრ სიმაღლეზე.

• • •

**სურათზე:** აქ დაიდგმება ბუმბერაზი ინსტრუმენტი.

ფოტო კ. ტარუსოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## მაღალი ჯილდო

**საბჭოთა** სახვითი ხელოვნების დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე, კომუნიზმისათვის მებრძოლთა საერთო მწყობრში ჩვენი მხატვრების ადგილზე, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებაზე მსჯელობენ მხატვართა მე-3 სრულიად საკავშირო ყრილობის მონაწილენი.

29 ნოემბერი ყრილობის ბოლო დღეა. მის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **პ. ნ. დემიჩევი.**

დილის სხდომის დაწყებისთანავე გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროს სსრ კავშირის მხატვართა კავშირს გადასცეს ლენინის ორდენი—ჯილდო დამსახურებისათვის საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში, რომელიც განასახიერებს ლენინურ ორდენით დაჯილდოებულ სოციალისტური რევოლუციის იდეებს.

სიტყვა აიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **მ. ა. იასნოვმა,** რომელმაც წაიკითხა ბრძანებულება სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დამსწრეთა ტაშის გრიალში მ. ა. იასნოვმა ლენინის ორდენი მიამაგრა სსრ კავშირის მხატვართა დროშას და წარმოთქვა სიტყვა.

დიდ კმაყოფილებას მანიჭებს, თქვა მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირისათვის საბჭოეთის უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის გადაცემა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ორატორმა მხატვართა მესამე ყრილობის დელეგატებს, საბჭოთა სახვითი ხელოვნების ყველა მოღვაწეს მხურვალედ მიუღოცა მაღალი ჯილდო და უსურვა შემოქმედებითი წარმატებანი. მთელ ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის საბჭოთა მხატვრები ყველაზე ყველაზე მშვენიერი, დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი საზოგადოების ნოვატორულ გზას, თქვა მ. ა. იასნოვმა.

ყოველი ხელოვნების მოღვაწე პარტიას მიაჩნია თავის იდეოლოგიურ თანაშემწედ, მტკიცე მებრძოლად მშრომელთა კომუნისტური აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებში ჯადაოსნურ ხალხის ცხოვრების დიდებული სურათი: მშენებლობათა მჩქეფარე ცხოვრება, სოფლის გარდაქმნა, გმირთა საბრძოლო საქმენი ჩვენი სამშობლოს დიდებული ბუნება.




### მხატვართა საკავშირო ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

საბჭოთა მხატვრული კულტურის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნიშანია მისი მრავალეროვნული ხასიათი.

თავისი საარსებო, ყველაზე აქტუალური ამოცანების განსაზღვრისას საბჭოთა შემოქმედი ინტელიგენცია ხელმძღვანელობს პარტიის 23-ე ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ“.

დასასრულ მ. ა. იასნოვმა გამოთქვა რწმენა, რომ სახვითი ხელოვნების მოღვაწენი შექმნიან თვალსაჩინო ნაწარმოებებს, რომლებიც საბჭოთა ადამიანებს დაეხმარებიან შრომასა და ბრძოლაში, მიანიჭებენ ბევრ სიხარულს.

სიტყვა **ეკ. ბელაშოვამ.**

„ყველანი, თქვა მან, განვიცდით ბედნიერებისა და სიამაყის გრძნობას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ჩვენი დიადი საბჭოთა ხალხისადმი მადლობას გრძნობას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში საბჭოთა მხატვრების შემოქმედებითი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

უდიდესია სამშობლოს, პარტიის ზრუნვა სახვითი ხელოვნების მოღვაწეთათვის, იგი „შთაგვაგონებს და სიტყვას ვაძლევთ პარტიას, რომ მას მიეუძღვნით ყველაფერს — ნიჭს, შთაგონებას, გულის თრთოლვას.

ყრილობის დელეგატმა **ნ. ტომსკიმ** წაიკითხა ყრილობის მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან.

შემდეგ შეაჯამეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობისა და კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნების შედეგები.

ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ მხატვართა მე-3 სრულიად საკავშირო ყრილობა დიდი მღელვარებითა და უდიდესი სიხარულით შეხვდა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოებას. საბჭოთა მხატვრებს მიაჩნიათ, რომ ეს მაღალი ჯილდო გამოხატავს პარტიისა და ხალხის ზრუნვას ჩვენი ხელოვნების აყვავებისათვის, არის მათი შრომის შთამაგონებელი შეფასება.

ყრილობა პირობას აძლევს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატები ამ დიდ თარიღს აღნიშნავენ ახალი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით, რომლებშიც ასახული იქნება საბჭოთა ხალხის ისტორიული საქმენი.

ყრილობის დადგენილება შეიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც ეხება მონუმენტური პროპაგანდის ლენინური გეგმის რეალიზაციას. ახალგაზრდობასთან მუშაობისა და კავშირის საგამომცემლო-პროპაგანდისტული საქმიანობის გაუმჯობესებას. მშრომელთა ესთეტიკურ აღზრდას, მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა სახეობისა და ჟანრის შემდგომ განვითარებას.

მხატვართა ყრილობა, ნათქვამია დადგენილების დასასრულს, საბჭოთა სახვითი ხელოვნების ყველა ოსტატს მოუწოდებს უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო, თავიანთი ნიჭი, შთაგონება და ოსტატობა მოახმარონ კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

ამით მხატვართა მე-3 სრულიად საკავშირო ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

### სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი

29 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა. გამგეობაში არჩეულია 159 კაცი.

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ე. ო. ბმლაშოვა.

პლენუმმა აირჩია სამდივნო 35 კაცის შემადგენლობით.

გაიმართა ახლად არჩეული სსრ კავშირის მხატვართა კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა.

კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ი. ო. ტიტოვი. (საკდესი).

## მილიონზე მეტი ლიტრი „ბორჯომი“

**მოსკოვი.** (საკდესის კორ.). მილიონ ლიტრზე მეტი მინერალური წყალი „ბორჯომი“ დღეში — ასეთ შეფასებას აძლევენ ახლა ქართველი გეოლოგები სახელგანთქმულ სამდოს. ახლა აქ შენდება სამეურნალო წყლის მეორე ჩამომსხმელი ქარხანა. იგი წელიწადში გამოუშვებს 200 მილიონ ბოთლ „ბორჯომს“.

ეს ციფრები და ფაქტები მოიყვანეს 28 ნოემბერს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ დასაზვერ სამუშაოთა შედეგები. ამ ბოლო სამ წელიწადში ქართველმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს და მრეწველობას გადასცეს მადნეულის სპილენძის დიდი საბადო. იგი გახდა რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის განვითარების ბაზა. იქ შენდება სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი. კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, რამდენიმე კილომეტრზე რიწის ტბიდან, აღმოაჩინეს ვერცხლის წყალ.. მანგანუმის მადნის მარაგი, რომელიც დაზვერეს საქართველოს ტერიტორიაზე, ქმნის საშუალებას რამდენიმე წლის მანძილზე იყოს უზრუნველყოფილი ამ ლითონის მოპოვების ახლანდელი დონე.

1968 წლის 25-28 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 37-ე სხდომა.

## ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის სხდომა

როგორც კომუნიკედან ჩანს, სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება 21 და 22 სესიებს შორის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობისა და უახლოესი პერიოდისათვის მისი შემდგომი მთავარი მიმართულებებისა და ამოცანების შესახებ.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ტრანსპორტის საკითხთა მუდმივი კომისიის მოხსენება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის მგზავრთა გადაყვანის მდგომარეობისა და განვითარების პრობლემების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ ბოლო ათი წლის მანძილზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი თანამედროვე და ჩქარი საერთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის განვითარებისათვის. 1967 წელს 1960 წელთან შედარებით ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის რკინიგზის, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილ მგზავრთა რიცხვი ექვსჯერ გაიზარდა.

აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწონა მოხსენება და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ტრანსპორტის საკითხთა მუდმივი კომისიის მუშაობა მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანის გაუმჯობესებისათვის და მის მიერ დასახული შემდგომი ღონისძიებანი.

აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა წინადადებანი წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ეკონომიური საგარეოსავაჭრო და ფინანსური პრობლემების შემუშავების შესახებ.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის მომართვასთან დაკავშირებით აღმასრულებელი კომიტეტი დათანხმდა გაფართოოს იუგოსლავიის თანამშრომლობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ნავიობისა და გაზის მრეწველობის დარგში.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე საკითხების განხილვა მიმდინარეობდა ძმური მეგობრობის, სრული ურთიერთგაგებისა და ერთსულოვნების ვითარებაში.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახელი გადაარქვა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და უწოდა **საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.**

# საერთაშორისო ცხოვრება

ქრონიკა • პრობლემები

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ᲙᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ შემოდგომა ᲙᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ. მათ წლევანდელი მოსავალი თითქმის უკვე დაბინავეს. ახადები დარჩა მხოლოდ შაქრის ჯარხლის უკანასკნელი პეტარები. ამასთანავე წარმატებით მიმდინარეობს შინდვრის სხვა სამუშაოები.

ამ დღეებში მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ხაშურელი მშრომელებიც გულდასმით უცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მასალებს.

და აი 28 ნოემბერს გაიმართა პარტიის ხაშურის რაიკომის პლენუმი, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილთა კოლმეურნეობათა, საბოლოო საბჭოების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკები, რაიონის მოწინავე ადამიანები.

პლენუმზე მოხსენებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების შედეგების შესახებ გამოვიდა პარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი დ. მაღლაფაშვილი.

— პარტიის XXIII ყრილობის შემდეგ ორწელიწადნახევარი გავიდა, — განაცხადეს პლენუმის მონაწილეებმა, — ეს დრო ბევრი როდი, მაგრამ ყრილობის შემდეგ სოფლის მეურნეობის დარგში დიდი ძვრები მოხდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკა და პოლიტიკა. წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში.

ხაშურის რაიონის კომუნისტებმა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებით, ფართოდ გაშალეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, დარაზმეს ადამიანები რაიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, წარმოების ალმავლობისათვის. პარტიულ ორგანიზაციებს მოქმედებაში მოჰყავდათ ახალი რეზერვები.

მოკლე ხანში საგრძნობლად იცვალეს სახე რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, გაიზარდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე.

გასულ წლებთან შედარებით მარცვლეულის მოსავლიანობა 62 პროცენტით გაიზარდა, ბოსტნეულისა — 73 პროცენტით, შაქრის ჯარხლისა — 62 პროცენტით, რაიონის მშრომელებმა წელს 18.200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 27.900 ტონა შაქრის ჯარხალი, 2.230 ტონის ნაცვლად 2.900 ტონა ბოსტნეული. ყურძნის დამზადების გეგმა 117 პროცენტით არის შესრულებული, ხილისა — 191, ხორცისა — 118, რძისა — 107 პროცენტით.

# ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ

რაიონის მშრომელებს მიღწეული აქვთ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მოყვანასა და დამზადებაში.

ეს ციფრები მოსაწონი და სასიხარულოა. მაგრამ რაიონის ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ როდი იშრომა კარგად. დიდი შესაძლებლობის მიუხედავად ძალზე დაბალი მოსავალი მიიღეს ოსიაურელმა კოლმეურნეებმა. აქ მიწის ყველა ფართობი დასაბარწყავებელია, თვითულ ჰექტარზე კი საშუალოდ მხოლოდ 11.8 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. მათ ვერც სიმინდის მოყვანაში ისახელეს თავი. ჩამორჩენილთა შორის არიან აგრეთვე ცოცხნარისა და ფლევის კოლმეურნეობები.

ეს კი, როგორც პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, მეურნეობათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია.

პლენუმზე სიტყვით გამოსულმა კომუნისტებმა: ალის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ბ. ნოზაძემ, წრომის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა მერი მურჯიკიანელმა, კოლმეურნეობა „ზემო ქართლის“ თავმჯდომარემ ბ. მაჭარაშვილმა ილაპარაკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მნიშვნელობაზე, თქვეს, რომ პლენუმის გადწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის დარგისადმი პარტიული ზრუნვის ახალი დადასტურებაა.

— მიღწეულით ვერ დავკმაყოფილდებით, — განაცხადეს მათ, — საჭიროა გამოვახოთ და ავამოქმედოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ახალი საშუალებანი და რეზერვები, უველა დარგი რენტაბელური გავხადოთ.

პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო სარწყავი ქსელის გაუმჯობესებისა და მისი ეფექტიანი გამოყენების, ნიადაგის ქიმიზაციის, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს. აგრეთვე ქმაყოფილებით ითქვა, რომ რაიონის მშრომელებმა სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს მეცხოველეობის დარგის შემდგომი აღმავლობისათვის. პირუტყვის ჯაშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდას.

საბოლოოდ კოლმეურნეობის მეძინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირმა ა. განჯელაშვილმა, ხაშურის სალოკომოტივო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. სარალიძემ, ბობის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორმა ა. აბესაძემ, სოფლის მეურნეობის ხაშაგროს სამმართველოს უფროსმა ბ. მაისაშვილმა და სხვებმა თავიანთ გამოსვლებში მიღწევებთან ერთად ხაზი გაუსვეს იმ ნაკლოვანებებს, რასაც ადგილი აქვს ცალკეული მეურნეობის, აგროსაბინაო, ბრიგადის, აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში.

რაიკომის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით, ფართოდ გაშალეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, დარაზმეს ადამიანები რაიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, წარმოების ალმავლობისათვის. პარტიულ ორგანიზაციებს მოქმედებაში მოჰყავდათ ახალი რეზერვები.

მოკლე ხანში საგრძნობლად იცვალეს სახე რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, გაიზარდა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე.

გასულ წლებთან შედარებით მარცვლეულის მოსავლიანობა 62 პროცენტით გაიზარდა, ბოსტნეულისა — 73 პროცენტით, შაქრის ჯარხლისა — 62 პროცენტით, რაიონის მშრომელებმა წელს 18.200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 27.900 ტონა შაქრის ჯარხალი, 2.230 ტონის ნაცვლად 2.900 ტონა ბოსტნეული. ყურძნის დამზადების გეგმა 117 პროცენტით არის შესრულებული, ხილისა — 191, ხორცისა — 118, რძისა — 107 პროცენტით.

## ᲙᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲬᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების შედეგებს.

პარტიის კასპის რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ძერძაძემ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ფრუშიძე.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ელოშვილმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ჩოგოშვაძე.

პარტიის ზუგდიდის რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კვარაცხელიამ.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ბოლდიშვილი.

პარტიის მცხეთის რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კაკოთიაშვილმა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ფინჯილია.

პარტიის რაიკომების პლენუმების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი და დასახეს ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

პლენუმების მონაწილეებმა ასევე ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგარეოპოლიტიკური მოღვაწეობა.

## ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲬᲕᲝᲜᲔᲑᲐ

### ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲔᲑᲖᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების შედეგებს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ კასპის რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ძერძაძემ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ᲡᲐᲠᲐᲚᲘᲫᲔ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა Ი. ᲔᲚᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე Გ. ᲩᲝᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიკომის პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კპ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიკომის პირველმა მდივანმა Ბ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲛ

# ეძღვნება ბელადს

**ფესტაფონი** (საკ. კორ.). რაიკომის სხდომათა დარბაზში, ფერომშენაღნობთა, კაბელების, ელექტროელემენტების ქარხნები, არგვეთის საბჭოთა მეურნეობის, პიონერული და მეორე სკვირის, ზოგიერთის კოლმეურნეობების კლუბებში მოეწყო ლენინური კითხვის საღამოები.

საღამოებზე წაიკითხეს ლექციები თემებზე: „ვ. ი. ლენინი — დიდი რევოლუციონერი, მეცნიერი, სახელმწიფო მოღვაწე", „ლენინის ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის", „ლენინი კომუნისტური ზნეობის შესახებ", „პარტიის იდეოლოგიური საფუძველების მომზადება ლენინის მიერ", „ლენინი და საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციები", „ლენინი და ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდა", „ლენინური მოძღვრება სოციალისტური კაბინეტების შესახებ".

**ორჯონიკიძე** (საკ. კორ.). ბორითის სასოფლო საბჭოს კლუბში ჩატარდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებათა ციკლი. აქ ესწრებოდნენ ბორითის, უბისის, მაქათუბნის, საქასრაის პარტიული, საბჭოთა, საკომეურნეო აქტივი, ლექტორ-მოხსენებლები, აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები, მასწავლებლები, რიგითი კოლმეურნეები.

წაკითხული იქნა მოხსენებები:

„როგორ მოვაწყოთ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად", „ვ. ი. ლენინის ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის", „ვ. ი. ლენინი — ოქტომბრის ბელადი", „ვ. ი. ლენინი — სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი".

**ჯიათურა** (საკ. კორ.). საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა და პარტიის ჯიათურის საქალაქო კომიტეტმა მოაწყეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

ჯიათურის მუშათა 클ასის რევოლუციურ წარსულზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ ჯიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. აბესაძე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ბრეგაძის მოხსენების თემა იყო — „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ერის შესახებ", „საქართველოს მუშათა クლასის ყოფისა და კულტურის საკითხისათვის" — ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა მეცნიერმა მუშაკმა გ. ჯავახიშვილმა.

**სიღნაღი** აქ გაიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამსჯელი სამეცნიერო სესია, სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ჭელაშვილმა.

მოსმენილ იქნა მოხსენებები: „ვ. ი. ლენინი ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების ურთიერთკავშირის შესახებ", „ვ. ი. ლენინი კომუნისტური მორალის შესახებ", „ვ. ი. ლენინი რელიგიის შესახებ", „ვ. ი. ლენინი სამხედრო ხელოვნების შესახებ", „ვ. ი. ლენინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის შესახებ".

მოხსენებები წაიკითხეს ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგემ დოცენტმა გ. ეკაუამ, დოცენტმა პ. არეგავიმ, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატმა დ. გეგეჭიძემ, უფროსმა მასწავლებელმა თ. იაშკინმა და პროფესორმა ვ. სიფრაშვილმა.

სესიას დაესწრნენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, პროპაგანდისტები, საწარმო-დაწესებულებათა მუშაკები, სულ 250 კაცი.

ლ. ბეგიაშვილი.



# აქ იბადებოდა დიადი აზრები

## წერილი ლენინგრადიდან

ლენინგრადი.

ქარი ქრის.

სასტიკად ყინავს.

პროსპექტზე ფეხით მოსიარულენი იშვიათად ჩანან. ტრანსპორტი გადატვირთულია.

ნევის პროსპექტს აჩქარებული მივყვები და სიცივით გათოშილს თბილისური ზაფხული მახსენდება.

ერთ-ერთი შენობის ფასადზე შუშის ფართო ვიტრინაში ყვავილების წალკოტს ვხედავ.

ვიტრინასთან დიდხანს ვყოვნდები და გამვლელების ყურადღებას ვიქცევ. სახიამოვნო გარეგნობის სათვალიანი მოხუცი გვერდში ამომდგომია და ღიმილით მეუბნება:

— „თანამემამულეების" სილამაზით ტკბებით?

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

მოხუცი განაგრძობს: ეს ყვავილები ჩვენთვის იგივეა, რაც გაზაფხულის პირველი მახარობლების — მერცხლების. გადმოფრენა... მერცხლებს უამინდობისა არ ეშინიათ, ისინი თავშესაფარს ყველგან პოულობენ. მოხუცი საუბრის თემას უცებ ცვლის და მეკითხება: —ბოდიშს ვიხდი ზედმეტი ცნობისმოყვარეობისათვის, რა პროფესიისა ბრძანდებით?

ვუპასუხე.

— დაიკვირდით ამ სახლს, — მომმართავს და ყვავილების მაღაზიის შენობაზე მითითებს, — დაიმახსოვრეთ და დაინტერესდით. მერწმუნეთ, ეს სახლი გაცილებით უფრო საინტერესო და ღირსშესანიშნავია, ვიდრე თუნდაც ეს ვიტრინა ცოცხალი სამხრეთული ყვავილებით...

მოხუცის სიტყვებმა მოსვენება დამიკარგა. გადავწყვიტე ჩავყვდომოდი მის ეზრს. მაგრამ საიდან დამეწყო?

ნევის პროსპექტი № 110.

ჩვეულებრივი მრავალსართულიანი შენობა, ქვედა სართულში ყვავილების მაღაზია. ზემო სართულში — მობინადრენი. ეს იყო და ეს. დახმარებისათვის ჩემს მეგობარს, ლენინგრადელ ისტორიკოს დოცენტ ი. ლიბაროვს მივმართე. საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა ბოლშევიკური პარტიის გმირული ისტორიის ღირსშესანიშნავი ფურცელი.

**1906 წლის** გვიანი შემოდგომაა.

რეაქციის ძალები მძვინვარებენ. პეტერბურგის ჟანდარმერიისათვის ცნობილი ხდება, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ბოლშევიკური გამომცემლობა „ვპერიოდი" ბეჭდავს და ავრცელებს აკრძალულ რევოლუციურ ლიტერატურას, გამომცემლობის სტამბა მოთავსებულია ქარავნის (ამჟამად ტოლმაჩოვის) ქუჩაზე. 9 ნომერში. აღნიშნულ შენობაში საღამოობით ხშირად მდგიოდა ვ. ი. ლენინი. მთელი საღამოობით იწდა სტამბაში, ათვალიერებდა და ასწორებდა ხელნაწერებს, ბროშურებს. შეჰქონდა შენიშვნებები და ხშირად აქვე წერდა საკუთარ სტატიებს. ამავე შენობაში ატარებდა ვ. ი. ლენინი 1906 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე პარტიულ კრებებს, მონაწილეობდა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მუშაობაში, ესაუბრებოდა სამხედრო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს.

ვლადიმერ ილიას-ძე სტამბაში ჩვეულებრივ საღამოობამდე მოდიოდა, ამასთან ყოველთვის მოულოდნელად.

სტამბის ენერგიულმა და ნაყოფიერმა მუშაობამ ჟანდარმერიის მხრივ დევნა და რეპრესიები გამოიწვია. შეშფოთებულმა სახლის მეპატრონემ შენობის განთავისუფლება მოითხოვა.

**1907** წლის დასაწყისში სტამბა გადავიდა იტალიურ (ამჟამად რაკოვის) ქუჩაზე № 38-ში, ხოლო ამავე წლის ზაფხულში დაიხურა.

ბოლშევიკური პარტიისათვის ეს იყო სერიოზული მარცხი: სტამბის დახურვით არა მარტო შეიზღუდა რევოლუციური ლიტერატურის რეგულარულად გამოცემა და მშრომელთა ფართო მასებში მისი გავრცელება, არამედ შეწყდა ვ. ი. ლენინის ნაშრომთა გამოცემაც.

## წერილი ლენინგრადიდან

◆

საკითხი ბოლშევიკური სტამბის არსებობის აუცილებლობის შესახებ რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის წინაშე დადგა ჯერ კიდევ **1906** წლის გაზაფხულზე.

არავითარ რეპრესიებსა და დაპატიმრებებს არ შეეძლო გაეტეხა ბოლშევიკების სიმტკიცე, შეეფერხებინა გამომცემლობის მუშაობა და რევოლუციური ლიტერატურის გავრცელება.

ჟანდარმერიის მიერ გამომცემლობა „ვპერიოდის" დარბევის შემდეგ წიგნის ცენტრალურმა გამომცემლობამ დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბა ახალი ლეგალური ბოლშევიკური გამომცემლობა უშუალოდ ქალაქის ცენტრში, ნევის პროსპექტზე, № 110 სახლში.

გამომცემლობის მთელ საქმიანობას სათავეში ჩაუდგა პროფესიონალი რევოლუციონერი, ბოლშევიკი მიხეილ სერგეის-ძე კედროვი.

ის კარგად იყო დაუფლებული საგამომცემლო საქმეს, საკმაო გამოცდილება შეეძინა რევოლუციური მოღვაწეობის მანძილზე იარსებოდა და მოსკოვში. მ. კედროვმა პარტიის ფონდში შეიტანა მთელი თავისი მემკვიდრეობით მიღებული კაპიტალი, ეს თანხა რამდენიმე ათეულ ათას მანეთს შეადგენდა ოქროთი (აღნიშნული მემკვიდრეობა მ. ს. კედროვმა მიიღო მამისაგან, რომელიც შეძლებული ბურჟუაზიული ოჯახის წარმომადგენელი იყო).

გამომცემლობის მუშაობაში ჩაბმული იქნენ მ. კედროვის მეუღლე ო. კედროვა, ს. დანილოვი, ნ. ანგარსკი, უფრო მოგვიანებით — ნიკოლოზ ილიას-ძე პოდვოისკი და მისი მეუღლე ანა ავგუსტის ასული პოდვოისკაია.

ახალმა გამომცემლობამ მიიღო უწყვეტი სახელწოდება — „ზერნო". კონსპირაციის მოსაზრებით გამომცემლობის წიგნის საწყობის მეპატრონე ფორმალურად გახდა კერძო. სოჭახო მასწავლებელი მ. დიდრიკილი, ხოლო წიგნის გამომცემლობის გამგედ დაინიშნა „ივანოვი" — იგივე მ. კედროვი. გამომცემლობის საქმიანობის აუცილებლობის შესახებ რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის წინაშე დადგა ჯერ კიდევ **1906** წლის გაზაფხულზე.

გამომცემლობა „ზერნომ" უმოკლეს ვადაში წარმატებით გაართვა თავი ბეჭდვისა და ტრანსპორტირების საქმეს და ვ. ი. ლენინისა და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მჭიდრო კავშირი დაამყარა პერიფერიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან.

**1908** წლის ოქტომბერში, პოლიციის დეპარტამენტისათვის გაგზავნილ პატაკში პეტერბურგის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი წერდა:

— „გამომცემლობა „ზერნო" წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის დიდ არსენალს. იმყოფება რა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრებთან მჭიდრო ურთიერთობაში და მუშაობს რა მისი უშუალო ზედამხედველობით, გამომცემლობა ახდენს პარტიული ლიტერატურის ტრანსპორტირებას პერიფერიულ ქალაქებში"...

გამომცემლობა „ზერნოს" პირველი მნიშვნელოვანი ლეგალური გამოცემა იყო **1907** წლის ოქტომბერში გამოცემული „კალენდარი ყველასათვის". განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტატიების ავტორები იყვნენ ვ. ი. ლენინი და გამოჩენილი ბოლშევიკი-ლიტერატორები — მ. ოლმინსკი, ნ. როკოვი, ნ. ბაბურინი.

სპეციალურად „კალენდარისათვის" დაწერა ვ. ი. ლენინმა სტატია „საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი შტუტგარტში".

„კალენდარმა", რომლის ყდაზე გამოხატული იყო პროლეტარის სიმბოლური ფიგურა ქარხნის ამოლებული მილების ფონზე, მაშინვე მიიპყრო ცენზურის ყურადღება.

„კალენდარის" გავრცელება სასტიკად აიკრძალა, მაგრამ მეორე დღეს, როდესაც პოლიცია აღნიშნული გამოცემის კონფისკაციის მიზნით გამომცემლობაში გამოცხადდა, იქ „კალენდარის" მხოლოდ რამდენიმე ათეული ეგზემპლარი დახვდა, ისიც მხოლოდ „თვალისასაბევად" სპეციალურად დატოვებული.

„კალენდარის" 80.000 ეგზემპლარი, წინასწარ ფარულად გაიტანეს გამომცემლობის შენობიდან და საწარმო-დაწესებულებებში გავრცელეს.

— „ეს „კალენდარი" მე ძლიერ შემიყვარდა, სიამოვნებითა და ხალისით გავავრცელებდ მას მთელ რუსეთში", — წერდა მეუღლისათვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ნიკოლოზ ილიას-ძე პოდვოისკი.

სტოლიპინის რეაქციის მძიმე პირობებში გამომცემლობები გაცხოველებით შეუდგნენ მზადებას ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა გამოსაცემად. ვ. ი. ლენინმა ადრევე შეადგინა იმ ნაწარმოებთა სია, რომელთა გამოკვეთნებას მიზანშეწონილად თვლიდა. სწორედ ეს სია დაედო საფუძვლად „ზერნოს" მიერ გამოცემულ კრებულს.

გადაწყდა გამოეცათ ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებული 3 ტომად. ვ. ი. ლენინმა გამომცემლობასთან დადო ხელშეკრულება, რომლის დედანი ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში.

განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობდნენ ნ. ი. პოდვოისკი, მ. კედროვი და მათი თანამშრომლები. ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი ტომის გამოცემის მომზადებაზე. აღნიშნულ ტომში შეიადა ვ. ი. ლენინის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორიც არის „რუს სოციალ-დემოკრატთა ამოცანები", „რა ვიკეთოთ?", ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში" და სხვ.

**ჟ**ამოცემლობა „ზერნომ" 1907 წლის დასაწყისს გამოსცა ლენინის თხზულებათა ერთი ტომი 3.000 ეგზემპლარად. წიგნის ყდაზე ეწერა: „ვ. ი. ლენინი. „12 წლის მანძილზე". მაგრამ მალე რეაქციულმა ცენზურამ გამოსცა დადგენილება წიგნის დაუყოვნებლივ კონფისკაციის. ხოლო წიგნის ავტორისა და გამომცემლების სასამართლო პასუხისგებაში მიცემის შესახებ. გამომცემლებმა მოახერხეს აღნიშნული წიგნის ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენა. ვ. ი. ლენინი იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსეთი და ჰელსინგფორსიდან შვეიცის გავლით შვეიცარიაში გადასულიყო.

**1908** წელს გამომცემლობა „ზერნომ" მოახერხა დაებეჭდა და ნაწილობრივ გაეგზავნა ვ. ი. ლენინის სტატიებიც. კრებულის მეორე ტომის პირველი ნაწილი. მან ცენზურის გაუგებრობაში შეაყვანის მიზნით, ნაცვლად ადრე გათვალისწინებული სახელწოდებისა („12 წლის მანძილზე"), მიიღო ახალი სახელწოდება „აგრარული საკითხი".

გამომცემლობა „ზერნომ" გამოფენა დღესაც საქართველოს მუზეუმის მშენებლად წარმოადგენს. მარტო ეს არის საკმარისი კ. გაბუნიას სახელის უკვდავსაყოფად.

**1937** წელს პროფესორი კ. გაბუნია შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, მოულოდნელად გარდაიცვალა. ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში მან დიდი პედაგოგიური, მრავალი ნამეცნიერო-კვლევითი და უაღრესად მნიშვნელოვანი საწარმოო ხასიათის მუშაობა გასწია.

დიდად მნიშვნელოვანია პროფესორ გაბუნიას მეცნიერული გამოკვლევები გეოლოგიის სხვადასხვა დარგში. ამ გამოკვლევათა მეტი ნაწილი ამირკავკასიისა და საქართველოს მინერალურ რესურსებს ეხება.

პირველი სერიოზული გეოლოგიური გამოკვლევა კ. გაბუნიამ საბჭოთა საქართველოში — ფოლადაურის (ჩათახის) რკინის საბადოს რაიონში ჩატარა **1926-27** წლებში. კვლევა საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავდა. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შესწავლილ იქნა ძირეულის მასივის სამხრეთი პერიფერიის გეოლოგიური აგებულება, ჩატარდა შრომისა და ქანდარის უბნების ცვლილებამდე თიხების ძიება-ძიება და მარგის გამოკვლევა. როგორც ცნობილია, ამ გამოკვლევის გეოლოგიური შედეგები მეტად მნიშვნელოვანი იყო. მკვლევარი აწარმოებდა ქისათიბის დიატომიტისა და თიანეთის ლიგნოგრაფიული ქვის საბადოების ძიებას და მათი რაიონების გეოლოგიურ შესწავლას, რის შედეგადაც დადგენილ იქნა სამრეწველო მნიშვნელობის მარაგი.

დაახლოებით ამავე წლებში პროფესორი გაბუნია ეწვევა ფართო ჰიდრო და საინჟინრო-გეოლოგიურ მუშაობას ჯავახეთის ზეგანზე იმ დროისათვის განზრახულ თაფარავანჭესის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ გამოკვლევის საფუძველზე ასრულებს მოზოგრაფიული ხასიათის შრომას ჯავახეთის ზეგანის გეოლოგიისა და ჰიდროლოგიის შესახებ.

**1930-32** წლებში პროფ. კ. გაბუნია სხვადასხვა ჰიდროგეოლოგიურ კვლევასთან ერთად აწარმოებს ქროლის კვარციანი ქვიშების საბადოს შესწავლას და წერს მიმოხილვითი პერსპექტიული ხასიათის სტატიებს.

იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ამ უანგარო მამულიშვილმა და დიდმა მეცნიერმა დიდო მინერალური რესურსების გამოვლინებისა და ეროვნული კადრების აღზრდის საქმეს საქართველოში, არასოდეს არ დავიწყებენ ქართველი გეოლოგები და მისი მადლიერი მოწაფეები.

**პ. გამყრელიძე.**

*საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი.*

# ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲘᲓᲣᲚᲔᲑᲘ

**□ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ 11 ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ 3 ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ, 5 ᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ, 3 ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ 2 ᲓᲐᲡᲐᲧᲠᲓᲔᲜᲘ ᲙᲣᲜᲫᲘ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲫᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.**

**□ ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲝᲛᲫᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲠᲑᲘᲚᲘᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲗ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ.**

**□ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲛᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲒᲣᲐ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲔᲑᲘ ᲛᲔᲓᲒᲒᲘᲡ, ᲠᲐᲤᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲜᲔᲤᲘᲡᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲛᲧᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲡᲘᲡ ᲣᲮᲣ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲘᲫᲚᲔᲕᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲓᲛᲝᲛᲫᲔᲓᲔᲑᲡ ᲖᲠᲓᲘᲐᲜ.**



— ამა ნახეთ, რა კარგია ტურნეფსის ნაყოფი, — თქვა ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ვ. კობეშავიძემ, — იადი, ნოყიერი საკვებია პირუტყვისათვის. თანაც, როდის ვიღებთ? ზამთრობით!

ერთსა და იმავე მიწაზე წლის განმავლობაში სხვადასხვა კულტურის რამდენიმე მოსავალი მოპყავთ. ცხადია, მიწის ღონეობა მცირდება, შემადგენლობა იცვლება. სწორედ ამის შედეგად მომზადარ ცვლილებებს აზუსტებენ ლაბორატორიებში, არკვევენ, თუ რამდენი და რა სახის სასუქი ესაჭიროება მიწას.

ინსტიტუტში თითქმის დაარსებიდან მუშაობს უმროსი მეცნიერი მუშაკი ნ. ბაბიჩევ-მელიქოვი. მისგან ბევრი ისწავლეს ქიმიკოს-ანალიტიკოსმა ე. ზაპეტოვამ, პრეპარატორმა ლ. კლიმენკომ და სხვ.

საინტერესოდ, ნაყოფიერად მუშაობენ ინსტიტუტის საცდელ დაწესებულებებში, სხვადასხვა წინამორბედი კულტურების შემდეგ ნიადაგის დამუშავებისა და დასათესად მომზადების საკითხებზე. ცნობილია, რომ კახეთის ზეგანის და ველის მიწათმოქმედების მსგავსი ზონისათვის დამახასიათებელია თავთავიანი მარცვლეული კულტურების წარმოების დიდი ხვედრითი წონა. ამის გამო აუცილებელია ნაწვერალზე თავთავიანი კულტურების ორ-სამჯერ განმეორებით თესვა. ასეთ გარემოებას მხოლოდ მადალი აგროტექნიკის პირობებში შეეძლება შეუფრთხვეთ. ამ მიმართულებით წარმოებული გამოკვლევებით (ბ. ფალავანდიშვილი, ა. კვანტალიანი) დადგენილია, რომ ნაწვერალის დამუშავების ყველაზე უკეთესი წესია მოხვნა ზედმეყოლებული დაფარცხვით.

ვინ ჩამოთვლის, რამდენი კარგი მეცნიერული ღონისძიება დაიბადა მიწათმოქმედების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა შრომით, ვინ იცის აქედან რამდენი საგებლიანობა მიიღეს ჩვენმა მიწათმოქმედებმა (ეს ეკონომისტების განსჯის საგანია). ვინ იცის, კიდევ რამდენი სიახლით, მეცნიერული აზრით გაგვახარებენ ჩვენი მიწისა და მინდერების მესაიდუმლენი, რამდენ სიკეთეს გამოსცემენ ბუნებას შრომელთა საბედნიეროდ!

**ვ. გოზალიშვილი.**

• • •

**სურათებზე: ზევით — საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი მ. დალაქიშვილი საცდელ ნაკვეთში; ქვემოთ მარცხნივ — ინსტიტუტის ახალი შენობა; მარჯვნივ — ინსტიტუტის ლაბორატორიაში.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა.





# გამოჩენილი ქართველი გეოლოგი

## პროფესორ კალისტრატე გაბუნიას დაბადების 80 წლისთავის გამო



**ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ** კალისტრატე გაბუნია ეკუთვნის იმ შესანიშნავ მოღვაწეთა პლეადას, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს ჩვენს ხალხს. იგი ცნობილია, როგორც გამოჩენილი მკვლევარი-მეცნიერი, ეროვნული კადრების აღმზრდელი გამოჩენილი გეოლოგიის დარგში და მთელი რიგი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების დამაარსებელი.

კალისტრატე გაბუნიამ ხანმოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა **1888** წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ამაღლებაში ღარიბი აზნაურის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, რომელიც **1909** წელს დამთავრა.

უმაღლესი განათლების მისაღებად კალისტრატე ციმბირში — ქალაქ ტომსკში გაიმგზავრა. **1910** წელს ტომსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე წარმატებით ჩააბარა გამოცდა და დაიმსახურა პირველი სტიპენდია.

ქართველმა ჭაბუკმა ტომსკში თავიდანვე მიიპყრო ყურადღება როგორც საუკეთესო სტუდენტმა და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდამ. **1911** წელს კალისტრატე ინსტიტუტიდან გარიცხეს სტუდენტთა საგანგებო მოძრაობაში მონაწილეობისათვის. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, მოწინავე პროფესორების დაჟინებითი მოთხოვნით, იგი აღდგენილ იქნა ინსტიტუტში. **1918** წელს კ. გაბუნია წარჩინებით ამთავრებს ტომსკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს.

სამეცნიერო მუშაობას კ. გაბუნია სტუდენტობიდანვე იწყებს. **1911-1912** წლებში პროფესორ ვ. ობრუჩევის ხელმძღვანელობით იგი აწარმოებს ჰიდროგეოლოგიურ კვლევას დასავლეთ ციმბირში, ბარნაულის რაიონში. **1913** წელს მონაწილეობას იღებს სვანეთის მთის ბილოკის ტრასის გეოლოგიური პირობების შესწავლაში და შემდეგ მის გაყვანაში.

**1919** წლიდან იწყებს კ. გაბუნიას ფართო და მრავალფეროვანი მოღვაწეობა გეოლოგიის სხვადასხვა დარგში. ოციან წლებში იგი აწარმოებს ირკუტსკის ქვანახშირიანი რაიონის კვლევა-ძიებას; იქვე, პარალელურად, პედაგოგიურ მუშაობას იწევს — სამთო ტექნიკუმში კითხულობს ზოგადი გეოლოგიის კურსს.

**1921** წელს კალისტრატე მიემგზავრება ხარბინში (მანჯურიაში), სადაც მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით არსდება მანჯურიის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი საზოგადოება.

**1922** წელს კ. გაბუნიას იწვევს საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის ციმბირის განყოფილება, რომლის დავალებითაც იგი სალაირის არქიციატიდებს იკვლევს. შემდეგ ტომსკის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვების შედეგად, მას იწვევენ გეოლოგიურ და პალეონტოლოგიურ კათედრაზე, რომელსაც აკადემიკოსი უსოფი განაგებდა, და ავალებენ პალეონტოლოგიისა და არამადნეულ სასარგებლო ნამარხთა სბადოების კურსის კითხვას.

**1924** წელს კ. გაბუნია ჩამოდის საქართველოში, სადაც მუშაობას იწყებს პრეპარატორის თანამდებობაზე საქართველოს მეზეიმის გეოლოგიურ განყოფილებაში. საქართველოში დაბრუნებისთანავე იგი ფართო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს როგორც ნიჭიერი, დიდად ერუდირებული მკვლევარი, ინჟინერ-გეოლოგი. **1925** წელს მას იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღნიულ საბადოებში, კულტბინოლითებში, ჰიდრო და საინჟინრო გეოლოგიაში ლექციების კურსის წასაკითხად.

ალ. ჯანელიძესთან და ალ. თვალჭრელიძესთან ერთად კ. გაბუნია **1925** წელს აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებაში და სათავეში უდგება ამ ინსტიტუტის გამოყენებითი გეოლოგიის სექტორს. ორიოდე წლის შემდეგ აარსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოყენებითი გეოლოგიის კათედრას, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წლამდე განაგებს უკვე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

**1928** წელს კ. გაბუნია დამტკიცებულ იქნა დოცენტად, ხოლო **1930** წელს მიენიჭა პროფესორობა.

კ. გაბუნიას უშუალო მონაწილეობით **1930** წელს თბილისში არსდება აბიერკავკასიის გეოლოგიური სამმართველო.

სხვადასხვა პერიოდში კ. გაბუნია ამიერკავკასიის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის კონსულტანტი და ამავე დროს საქართველოს მარეგულაციის სამრეწველო-ტექნიკური სამმართველოს წევრია. **1932-1933** წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დეკანად მუშაობს. გარდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა მას უნდა ჰიდროგეოლოგიის ლექციების კურსის კითხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კ. გაბუნია ერთ-ერთი დამაარსებელი (**1933** წ.) და პირველი თავმჯდომარეა საქართველოს გეოლოგიური საზოგადოებისა, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა. სხვა მრავალ სამუშაოსთან ერთად, ამ საზოგადოების დავალებით, **1937** წელს, XVII საერთაშორისო გეოლოგიურ კონგრესთან დაკავშირებით, მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მოეწყო საქართველოს მუზეუმში საქართველოს მინერალურ ნედლეულთა რესურსების მუდმივი გამოფენა, რომელმაც კონგრესის მონაწილეთა მაღალი შეფასება და საერთო მოწონება დაიმსახურა. ეს გამოფენა დღესაც საქართველოს მუზეუმის მშვენებაა. წარმოადგენს. მარტო ეს არის საკმარისი კ. გაბუნიას სახელის უკვდავსაყოფად.

**1937** წელს პროფესორი კ. გაბუნია შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე, მოულოდნელად გარდაიცვალა. ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში მან დიდი პედაგოგიური, მრავალი ნამეცნიერო-კვლევითი და უაღრესად მნიშვნელოვანი საწარმოო ხასიათის მუშაობა გასწია.

დიდად მნიშვნელოვანია პროფესორ გაბუნიას მეცნიერული გამოკვლევები გეოლოგიის სხვადასხვა დარგში. ამ გამოკვლევათა მეტი ნაწილი ამირკავკასიისა და საქართველოს მინერალურ რესურსებს ეხება.

პირველი სერიოზული გეოლოგიური გამოკვლევა კ. გაბუნიამ საბჭოთა საქართველოში — ფოლადაურის (ჩათახის) რკინის საბადოს რაიონში ჩატარა **1926-27** წლებში. კვლევა საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავდა. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით შესწავლილ იქნა ძირეულის მასივის სამხრეთი პერიფერიის გეოლოგიური აგებულება, ჩატარდა შრომისა და ქანდარის უბნების ცვლილებამდე თიხების ძიება-ძიება და მარგის გამოკვლევა. როგორც ცნობილია, ამ გამოკვლევის გეოლოგიური შედეგები მეტად მნიშვნელოვანი იყო. მკვლევარი აწარმოებდა ქისათიბის დიატომიტისა და თიანეთის ლიგნოგრაფიული ქვის საბადოების ძიებას და მ

# ჩვენს ყველა-ჟურნალში

გვატყობინებენ „კომუნისტის“ და საქმესის კორესპონდენტები

## ტურისტული მარშრუტით

**თელავი.** (საკ. კორ.). სულ უფრო იზრდება ინტერესი კახეთის ისტორიული ძეგლების, აქაური მდიდარი ფლორისა და ფაუნისადმი. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ტურისტთა და ექსკურსანტთა რიცხვი მარტო თელავის რაიონში 1960 წელთან შედარებით 4-ჯერ გაზარდა. ტურისტულ-საექსკურსიო მოძრაობის გაფართოებას ხელი შეუწყო ახალმა კეთილმოწყობილმა ტურისტულმა ბაზამ (დირექტორი ნ. მთვარელაშვილი).

წელს რუსეთის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან ამ 4 მოქმედი მარშრუტით 9.000-ზე მეტმა ტურისტმა გაიარა.

## საქართველოს ჟურნალისტთა მეექვსე კონფერენციის და ქართული ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსი

**შემსრულებელთა III რესპუბლიკური კონკურსი.** კონკურსის მიზანია გამოავლინოს ცეკვის ინდივიდუალური შემსრულებლები, აგრეთვე, შესრულებები არსებული ნაკლოვანებები, ხელი შეუწყოს ინდივიდუალური ცეკვების განვითარების საქმეს. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქალები, ისე კაცები 16 წლის ასაკიდან ზევით. კონკურსზე წარმოდგენილი იქნება ყველა სახის ქართული ხალხური ცეკვა, როგორც ქალთა ან კაცთა შესრულებით ცალ-ცალკე, ისე ქალ-ვაჟთა ერთად შესრულებით. მონაწილეობას მიიღებენ როგორც პროფესიონალნი, ისე თვითმოქმედი შემსრულებლები.

კონკურსზე გამოტანილი ცეკვების შეფასებისას ყურადღება მიექცევა ცეკვის შინაარსს, მის გამომსახველობას, შესრულების ტექნიკურ მხარეს (ლეგობის ნაირფეროვნება და მათი მაღალტექნიკური შესრულება), ცეკვის მუსიკალურ მასალას და ორგანულ კავშირს მუსიკასა და ცეკვას შორის. შემსრულებელთა ფიზიკურ მონაცემებს, ტანჩაცმულობას.

ცეკვა შეფასდება ათბალიანი სისტემით. ჟურიგრაფიული კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში შედიან ი. სუხიშვილი (თავმჯდომარე), ნ. რამიშვილი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, ლ. გვარამაძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ა. თათარაძე — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ო. ეორეული — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ნ. ჩხეიძე — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მ. ჩირონიშვილი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მ. შუბაშვილი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ს. ლაფაური — საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, რ. ჭოხონელიძე — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (მდივანი).

კონკურსი მოეწყობა ორშაბათს 2 დეკემბერს ზ. ფალიაშვილის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

**ი. სუხიშვილი.**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი,

**ა. თათარაძე.**
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

## რამდენიმე სტრიქონით

### მაუურებელმა ნახა პრემიერა

◎ **ფოთის** ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრში გ. ნახუცრიშვილის პიესა „ბორის ძნელაძე“ დადგა თეატრის დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. კალანდარიშვილმა.

**კ. კოპახიძე,**
**ს. უურაშვილი.**

◎ **ზუგდიდის** დრამატული თეატრის კოლექტივმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა კ. ბუაჩიძის „მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა დ. კობახიძემ.

**ბ. ალუიბაია,**
**ვ. ბაგისონია.**

◎ **ხაშურის** სახალხო თეატრში მაყურებელმა ნახა გ. ნახუცრიშვილის პიესა „ცივცლის ხაზზე“. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა შ. ჩერქეზიშვილმა.

**დ. ფარეიშოვი.**

◎ **ყაზბეგი.** (საკ. კორ.). საკავშირო ფესტივალის ლიტერატურა ტაბიბულის სახალხო თეატრმა განახორციელა ა. გეწაძის პიესის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ დადგმა (რეჟისორი მ. ფურცხვანიძე).

◎ **ცაგერის** სახალხო თეატრმა წარმოადგინა ა. ასლამაზიშვილის პიესა „სიმღერა გრძელდება“, რომელიც დადგა რეჟისორმა ს. ქოპალიანმა.

**ბ. ქარსელაძე.**

# გაიმარჯვა მ. ტალმა

**როდესაც** გორში ვ. ქარსელაძის ხსოვნის ტურნირი დაიწყო და მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **მ. ტალმა** სტარტზე წაიბორძიკა, ბევრს არა სჯეროდა, რომ იგი შემდგომ ტრიუმფით გაიელიდა დისტანციას. მაგრამ ბრძოლის შემდგომმა ეტაპებმა ცხადყო, რომ იგი პოზიციას არ თმობდა და ექვსი პარტია მოიგო ზედიზედ.

უკანასკნელი ტურის წინ **მ. ტალს** 7 ქულა ჰქონდა. ამდენივე ქულა ალმოაჩნდა გროსმაისტერ **გელერს**, მაგრამ მან ადრე დამთავრა ტურნირი, როგორც ვხედავთ ყველაფერი გაკეთებული როდი იყო, სპორტული ადგილების საკითხი უნდა გადაეწყვიტა უკანასკნელი ტურის შედეგებს.

მსოფლიოს ჩემპიონის **ნ. გაფრინდაშვილისა** და **მ. ტალის** პარტია ყაიმით დამთავრდა და **მ. ტალმა** 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. **გუფელიძეს**, რომელიც შავებით ეთამაშებოდა **მიქაძეს** წარმატების შემთხვევაში შეეძლო დწეოდა **გელერს**. ასეც მოხდა, გაიმარჯვა **გურგენიძემ** და **გელერთან** ერთად გაიყო მეორე-მესამე ადგილები.

მეტად მნიშვნელოვანი პარტია ჰქონდათ **ჯინჭიხაშვილსა** და **გუფელდს**. საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. **გაფრინდაშვილმა** და **გუფელდმა** მომდევნო ორი ადგილი გაიყვეს.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე **გრიგორიან-მუკნიაშვილის** პარტია.

დღეს გორში ტურნირი საზეიმოდ დაიხურება.

„**კომუნისტის**“ ფოტოკორესპონდენტმა **ბ. გოგოხიამ** გუშინ **გორში ვ. ქარსელაძის** მემორიალის უკანასკნელი ტურის დაწყების წინ **გადაიღო შეჯიბრების** მონაწილეთა ეს სურათი. მარცხნიდან — **ლ. გრიგორიანი, ე. გუფელდი, ბ. მუკნიაშვილი, მ. ტალი, ზ. მიქაძე, ნ. გაფრინდაშვილი, რ. ჯინჭიხაშვილი, ბ. გურგენიძე, ა. გოკუჩავა** და **ი. ჩიქოვანი.**

## ლაკარაკოგენ ტურნირის მონაწილეები

## მადლობა გორელებს!

**მ. ტალი,**
მსოფლიოს ექს-ჩემპიონი.

**გორის** ეს ტურნირი სასიამოვნო ფაქტია, თანაც დროული და მისაბაძი. ადამიანმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ჰადრაკს შესწირა, აღზარდა მსოფლიოში აღიარებული მოჭადრაკეები და ნაადრევად დატოვა ჩვენი რიგები, რა თქმა უნდა, ღირსია ასეთი დაფასებისა.

როდესაც მოწვევა მივიღე გორის **ვ. ქარსელაძის** ხსოვნის ტურნირში მონაწილეობაზე, სიამოვნებით დავთანხმდი და კმაყოფილიცა ვარ. კმაყოფილი ვარ არა მარტო იმით, რომ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დავიკავე, არამედ იმითაც, რომ თავს ვგრძნობდი სასურველ და თბილ გარემოში. ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. მჯერა, რომ მომავალში იგი უფრო მასობრივი გახდება.

ორიოდე დღით მინდა ვეწვიო თბილისს, შემდეგ კი რიგაში გავემგზავრები. მონაწილეობას მივიღებ ჩვენი ქვეყნის როგორც გუნდურ, ისე პირად პირველობაში, ამასთანავე უნდა შევუთანხმდე დანიელ გროსმაისტერ **ბენტ ლარსენს** ჩვენი მომავალი მატჩის შესახებ.

და, ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო გორელებს ესოდენ გულთბილი მიღებისათვის.

## კარგი შედეგები

**ნ. გაფრინდაშვილი,**
მსოფლიოს ჩემპიონი.

**ჩემთვის,** როგორც **ვ. ქარსელაძის** ყოფილი მოწაფისათვის, მისი ხსოვნის ტურნირში მონაწილეობა საპატიო იყო. ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ასპარეზობა სანიმუშო ყოფილიყო. ეფიქრობთ, მონაწილეთა შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი იყო და ასეთ შეჯიბრებაზე გამოსვლა ყოველი მოჭადრაკისათვის საპატიოა.

მართალია, ტურნირში გამარჯვებულმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა **მიხეილ ტალმა** სტარტზე პირველ ორ ტურში ქულანახევარი დაკარგა, და ზოგიერთს ეგონა, რომ მოცლი დისტანციაზე მისი ანაზღაურება ძნელი იქნებოდა, მაგრამ ტალი ტალია და შემდგომმა შეიპარვარმა ბრძოლამ მას პირველობა მოუპოვა.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების შედეგები ამ ტურნირზე ცუდი როდია. მათ შორის პირველ რიგში უნდა ვახსენოთ საერთაშორისო ოსტატის **ბ. გურგენიძის** წარმატება. გროსმაისტერ **ეფიმ გელერთან** ერთად მეორე და მესამე ადგილების გაყოფა წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

კარგი იქნება, თუ მომავალ ტურნირში მონაწილეთა მეტი რაოდენობა იქნება.

## ა. დემეტრაშვილი

**ხანგრძლივი** და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1925 წლიდან პარტიის წევრი, პერსონალური პენსიონერი **ალექსი (ალიოშა) გიორგის-ძე დემეტრაშვილი.**

ა. დემეტრაშვილი დაიბადა 1905 წელს ქ. თბილისში მუშის ოჯახში. 1917 წელს მუშაობას იწყებს შეგირდად თბილისის ელექტრომექანიკურ სახელოსნოში და იქვე 1921 წელს შედის კომკავშირის რიგებში.

1923 წელს როგორც მოწინავე მუშა სწავლისათვის გაიგზავნა ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მუშათა ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ლენინგრადის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ბათუმის პარტიული სკოლის გამგედ, სიდანაც მალე გადმოიყვანეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ინსტრუქტორად.

1931 წელს ა. დემეტრაშვილი ქ. თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დირექტორად დანიშნეს, 1937-1938 წლებში საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივანი იყო, მომდევნო წლებში მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ კი საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების საინფორმაციო სექტორის გამგედ.

1946 წელს ა. დემეტრაშვილი გადაყვანილ იქნა პროფკავშირულ საუშაოზე.

ა. დემეტრაშვილი იყო პარტიის და ხალხის საქმისათვის თავდადებული მუშაკი, უაღრესად გულისხმიერი, მოსიყვარულე ამხანაგი და შეგობარი. მისი ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**სურათზე:** საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ქალთა ჯგუფი ასრულებს ცეკვა „ფარცას“.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ი. ჩხეიძე —
### სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

**ზრომის** წითელ დროშის ორდენოსანი ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტის აგროეკოლოგიის განყოფილების გამგემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა **ირაკლი ოსიბაბ-ძე ჩხეიძემ** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„საბჭოთა კავშირში სუბტროპიკული კულტურების შემდგომი გაფართოების საკითხი“.**

სსრ კავშირის უმაღლესი, და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ი. ი. ჩხეიძისათვის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

## შაქი ზღვის კურორტების ღღეანდელი და ხვალინდელი ღღე

**28 ნოემბერს** პანსიონატ „ბიჭვინთაში“ გაიმართა საბჭოთა კავშირის არქიტექტორთა და მშენებელთა თათბირი შავი ზღვის სანაპიროს კურორტების კომპლექსური განვითარების პრობლემებზე.

უკვე ცხრა თვეა მუშაობს ეს დიდი საკურორტო ცენტრი „ბიჭვინთა“.

— თუმცა ზამთარი კარს მოგვადგა — თქვა კურორტ „ბიჭვინთის“ გაერთიანებული პანსიონატების მთავარმა ინჟინერმა ა. გვინტაძემ, — დამსვენებელთა ნაკადი არ შემცირებულა. ჩვენ შეგვიძლია ერთდროულად მივიღოთ სამი ათასი დამსვენებელი. მათ განკარგულებაშია ჩინებულად მოწყობილი ოთახები, საცურაო აუზი, კინო-საკონცერტო დარბაზები.

არქიტექტორები გაეცნენ აგრეთვე საკურორტო ქალაქის მეორე რიგის მშენებლობას ადლეურის გარეუბანში. სამშენებლო ორგანიზაციათა გამსხვილებისა და მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდის დანერგვის შედეგად აქ დიდ ობიექტებს საეკსპლოატაციოდ გადასცემენ ვადაზე ორი-სამი თვით ადრე.

თათბირის მონაწილეებმა დაათვალიერეს აგრეთვე ახალი სანატორიუმის მშენებლობა გაგრაში. მომავალ ხეზონში ასი პირველი დამსვენებელი შეავ ახალ შენობაში. სანატორიუმი დგას მთის პატარა პლატოზე. შენობა მოპირკეთებულია პლასტიკებით, გოფრირებული ალუმინით, კაკაასის კარიერებიდან ამოღებული ქვით. ზამთრობით ჭერში დამონტაჟებულ მილებში გაუშვებენ ცხელ წყალს, ზაფხულში კი — გაციებულს.

თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებულია საკურორტო მშენებლობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. კერძოდ, პერიოდულად გაიმართება კონკურსები საკურორტო ცენტრებისა და სანატორიუმების დიდი კომპლექსების დეტალური დაგეგმვის საუკეთესო პროექტებისათვის. (საკადესის კორ.).

# რადიო

### ● კვირა, 1 დეკემბერი
### პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.15 — გადაცემათა პროგრამა, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 08.10 — განცხადებები, 08.25 — გადაცემათა პროგრამა, 08.30 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 09.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 09.15 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.22 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.15 — „დილა მშვიდობისა“ (მოსკოვი), 11.00 — „პიონერთა დფიონი“ (მოსკოვი), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.40 — გადაცემათა პროგრამა, 11.45 — დ. არაყიშვილი. რომანსები, 12.05 — მუსიკალური რადიოფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. „როგორ მოვისმინოთ მუსიკა“ (გადაცემა პირველი), 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოჟურნალი „ნაკადული“, 14.45 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე“ (მოსკოვი), 15.00 — კონცერტის ტრანსლაცია ბაკოდან, 15.40 — ალ. ხაჭაველიშვილი, 16.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.00 — საერთაშორისო მიმოხილვა, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — საუბარი „მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობის ანტისოციალისტურ და მსოფლიო ანტიკომუნიზმი“, 17.45 — ლეონიკაველი. ნაწყვეტები ოპერა „ალმასზებიდან“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 19.40 — ა. ბალანჩივაძე. მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — ევრიპიდე. „მედეა“, რადიოსპექტაკლი, 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 22.50 — პიესები გიტარასათვის, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — უკრავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საესტრადო ორკესტრი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

# ტელევიზია

### ● შაბათი, 30 ნოემბერი

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.00 — „ვიღოცავთ დაბადების დღეს!“ — მუსიკალური პოპულარული პროგრამა, 11.30 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.40 — კინონარკვევი, 12.00 — „ტელეპანორამა“, 12.30 — კინოპროგრამა, 13.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა სატელევიზიო ატლასი“. ლატვიის სსრ (გადმოცემა ვილნიუსიდან), 14.30 — ბავშვებისათვის. მხატვრული ფილმი „სამი დღე ივანე სემენოვიჩის — მეორეულასილისა და მეორეწლიანის ცხოვრებიდან“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — კინოპროგრამა, 16.30 — სპორტული პროგრამა. „გონებრივი შრომა და ფიზიკური ვარჯიში“, 17.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა „კინომოგზაურთა კლუბი“, (გადმოცემა მოსკოვიდან) 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05—ახალი ამბები, 18.10—„კინოფიშა“, 18.40—კონცერტი ბავშვებისათვის, 19.20 — „ეთერშია „ახალგაზრდობა“, 20.00 —კინონარკვევი, 20.15 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა: ი. ტურგენევი, „ასია“ — სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „ივანანა“ — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 22.35 — გადაცემა „ათი დღე თურქეთში“ (განმეორებით), 23.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

### ● კვირა, 1 დეკემბერი

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 10.30 — ბავშვებისათვის. „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან) 11.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 12.10 — კინონარკვევი, 12.30 — „მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1927 წელი (ქართულ ენაზე), 14.00 — ბავშვებისათვის—„ესტაფეტა“ (გადმოცემა ბუდაპეშტიდან), 15.00 — „ვემსახურები საბჭოთა კავშირს“ (გადმოცემა ოდესიდან), 15.30 — აკადემიკოს სკრიაბინის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა მოსკოვიდან, 16.00 — დოკუმენტური ფილმი „დიადი დღესასწაული“, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — „მუსიკის სამყაროში“ — საკელევიზიო მიმოხილვა, 19.00 — კინონარკვევი, 19.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 20.00 — საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში „დინამო“ თბილისი — „კალევი“ ტარტუ, 21.30 — საესტრადო-გასართობი პროგრამა, 22.15 — ნ. პოგოდინი. სატელევიზიო სპექტაკლი „პოემა ცულის შესახებ“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — საკვირაო მუსიკალური პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 00.30 — „მხოლოდ ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

### ● ორშაბათი, 2 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — კინოპროგრამა, 12.00 — რუმინული მხატვრული ფილმი „ბოლოთათა“, 17.50 — გადაცემათა პროგრამა, 17.35 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.05 — განცხადებები და რეკლამა, 18.15 — „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 18.35 — „ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს“, 18.55 — გადაცემა „რიონის ხეობაში“, 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა: ბავშვებისათვის — „გაოცოცლებული ნახატები“ — მულტიპლიკაციური და თოჯინების ფილმები; მოზრდილთათვის — „მეტუქნი“ და „ქუდში როდია ბედნიერება“, 20.00 — ქართული ცეკვის კონკურსი. ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელმწიფო ოპერის და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან, 22.00 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ — „რა წვიკითხოთ?“, 22.30 — გადაცემა სერგო კლდიაშვილი (მწერლის დაბადების 75 წლისთავის გამო), 23.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

### ● სამშაბათი, 3 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — გადაცემა „რიონის ხეობაში“ (2 დეკემბრის გადაცემის გამეორება), 11.15 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — „ბანდადეები, 18.25 — „ყურადღება, ვიდეო!“, 18.50 — „ჩვენი ეიხოდარბაზი“, 19.10 — გადაცემა „მეტი ყურადღება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას“, 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — ქართული ნაწარმოებები, 20.20 — გადაცემა „ზეუტაფონელი მუშეკეტერები“, 20.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში სსრკ I-აშშ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — მხატვრული ფილმი „აღმოსავლეთის დერეფანი“.

### ● ოთხშაბათი, 4 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 —„ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინონარკვევი, 11.50 — მხატვრული ფილმი „მზისა და წვიმის დღე“, 13.00 — „საბჭოთა ქვეყნის კანონი“, გადაცემა-რეპორტაჟი, მიძღვნილი საბჭოთა კონსტიტუციის დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.30 — გადაცემათა პროგრამა, 17.35 — ლექცია პოლიტეკონომიის შემსწავლელთათვის, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — „ადამიანი“, 18.30 — „ჩვენი კინოდარბაზი“, 18.50 — განცხადებები, 18.55 — გადაცემა „შრომაში გამარჯვებულნი“, 19.35 — კონცერტი „ჩვენ ვმღერით მშობლიურ ქანგებს“ (სტუდიაში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი), 20.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი მხატვრული ფილმი „კაბკასიელი ტყვე ქალი“, 21.30 „მომამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.00 — „საბჭოთა ქვეყნის კანონი“, გადაცემა-რეპორტაჟი, მიძღვნილი საბჭოთა კონსტიტუციის დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.10 — „მზე რუსეთზე“ — სატელევიზიო მუსიკალური ფილმის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან), 24.00 — „მხოლოდ ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

### ● ხუთშაბათი, 5 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.15 — „დღეს კონსტიტუციის დღეა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „მხედარი ქალაქის თავზე“, 13.10 — კინონარკვევი, 13.30 — „ლიტერატურული პანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.30 — „ვუმღერ ჩემს სამშობლოს“ — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — დოკუმენტური ფილმი „ვემსახურები საბჭოთა კავშირს“ 17.00 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ — „რედაქციაში წერილი მოვიდა“, 17.30 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეიში სსრკ I-სსრკ II (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „ფერად-ფერადი“ მუსიკალური პროგრამა, 19.30 — გადაცემა „ქართველი კინომოყვარულები“, 20.30 — „მომამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 21.00 — კინონარკვევი, 21.10 — კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, 22.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი: 1. „ჩრდილოეთის მდინარეების ზღაპრები“ — სატელევიზიო ფილმი; 2. „სადღესასწაულო კონცერტი“, 23.30 — „მეგობრობის თასზე“. შეჯიბრება ფიგურულ სრიალში (გადმოცემა პოლონეთიდან), 00.30 — „მხოლოდ ფაქტები და „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

### ● პარასკევი, 6 დეკემბერი

09.20 — გადაცემათა პროგრამა, 09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხაზველობით გეომეტრიაში, 10.30 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა სარკოვიდან), 11.00 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.10 — მხატვრული ფილმი „ზღაპრის მაგვარი საოცარი ამბავი“ (ქართული ვარიანტი), 12.20 — კინოპროგრამა, 13.00 — სატელევიზიო თეატრი ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.50 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.20 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1928 წელი (ქართულ ენაზე), 16.10 — ჟურნალ „ეკრანის მეგობრის“ ფურცლებზე, 16.40 — კინონარკვევი, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინოფიშა, 18.00 — გადაცემა ციკლიდან „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — ჯოკი მეშვილიანი, 18.25 — კინონარკვევი, 18.45 — „მომამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 18.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 19.00 — საესტრადო-გასართობი პროგრამა, 10.45— კინონარკვევი, 20.00— ცენტრალური ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინომოგზაურთა კლუბი“, 21.00 — მუსიკალური კალენდარი“ — გ. ანდრეევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — კინონარკვევი, 21.26 — ქართული მხატვრული ფილმი „ნეკვსურული ბალადა“, 22.55 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზიის პროგრამა. მოლიერი „ძუნწი“, (სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა), 00.30 — „საცეკვაო დარბაზი“ (გადმოცემა ტალინიდან).

## ლაკარაკოგს და უჩვენებს თბილისი

„**კომუნისტის**“ ფოტოკორესპონდენტმა **ბ. ბოკუჩავა** ერთ-ერთ ასეთ ფოტოზე **ალექსანდრ ბერეზოვსკი** ... **ალექსანდრ ... ... ...